საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვირი



ვირი (Asinus), კენტჩლიქოსანი ძუძუმწოვრების ქვეგვარი ცხენისნაირთა რიგისა. ცხენისაგან განსხვავებით აქვს გრძელი ყურები, დიდი თავი, ვიწრო ჩლიქები, წვრილი კუდი, რ-იც გრძელბალნიანი ფუნჯით მთავრდება. არსებობს შინაური ვ-ის 2 ჯიშური ჯგუფი: 1. აფრიკისა და აზიის ადგილობრივი ტანმორჩილი (მ. შ. კავკასიური); 2. კულტურული ვ-ის ჯიშები, რ-ებსაც იყენებენ ჯორის გამოსაყვანად. დედა ვ. წელიწადში ერთ ჩოჩორს შობს. სიცოცხლის ხანგრძლივობა 12–18 წელია. იკვებება ბალახით. ვ-ს იყენებენ სასაპალნედ და შესაბმელად, განსაკუთრებით მთაგორიან ადგილებში და ბილიკების სავალ გზებზე. ვ-ს შეუძლია ტვირთის გადატანა ზურგით (საშუალოდ 80–98 *კგ*-მდე) და საზიდრით (1,0 *ტ*-მდე). ვ-ს ამუშავებენ 2 წლიდან. საქართველოში (კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, აფხაზეთი) გავრცელებული ვ. ტანად პატარაა, მისი სიმაღლე 95 სმ აღწევს. ვ-ს უმთავრესად იყენებენ საკარმიდამო სამუშაოებისათვის, აგრეთვე მეცხოველეობაში, განსაკუთრებით მეცხვარეობის ფერმებში საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე. მოვლა-კვების მხრივ ნაკლებმომთხოვნი, გამძლე და ამტანი პირუტყვია, იშვიათად ავადდება.

დ. კობალავა